



# სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 03-328



ქ. თბილისი

9.03.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტზე 2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მსურველ აბიტურიენტებისათვის ილიაუნის მომავალი ფიზიკოსების ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მ/შ-ის დავით თარხნიშვილის 2015 წლის 5 მარტის N03-7265/15 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

## ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ილიაუნის მომავალი ფიზიკოსების ოლიმპიადის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტზე 2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლის მსურველ აბიტურიენტებისათვის.

2. ოლიმპიადის გამარჯვებულ აბიტურიენტებს გადაეცეთ ერთჯერადად შემდეგი სახის სასტიპენდიო ვაუჩერი ამ ბრძანების პირველ დანართში დადგენილი პირობების შესაბამისად:

პირველი კატეგორიის- 1200 ლარიანი სასტიპენდიო ვაუჩერი;

მეორე კატეგორიის - 600 ლარიანი სასტიპენდიო ვაუჩერი.

3. სასტიპენდიო ვაუჩერის მიღებასა და გამოყენებას ამ ბრძანების პირველ დანართში დადგენილი პირობების შესაბამისად, აბიტურიენტები შეძლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩაირიცხებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და საინჟინრო ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ფიზიკა(მიღება ინდივიდუალური მიმართულებით-პროგრამული დაფინანსება) კანონმდებლობით დადგენილი წესით

და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებით მოხვდებიან პირველი დანართით დადგენილ კვოტაში.

4. ილიაუნის მომავალი ფიზიკოსების ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი მსურველებმა უნდა შეავსონ ელექტრონულად არაუგვიანეს 24 მარტისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე [www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge)

5. მომავალი ფიზიკოსების ოლიმპიადა ჩატარდეს 2015 წლის 29 მარტს, ორ ტურად და დამტკიცდეს ოლიმპიადის ჩატარების განრიგი ამ ბრძანების მეორე დანართის შესაბამისად.

6. დამტკიცდეს მეორე დასკვნითი ტურის შეფასების სისტემა ამ ბრძანების მესამე დანართში დადგენილი პირობების შესაბამისად.

7. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2015 წლის 30 მარტს.


8. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობს შემსრულებელს დავით თარხნიშვილს.

9. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელ ფეისბუქში განთავსება;

10. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

11. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტს, ფინანსურ სამსახურს, საფინანსო დეპარტამენტს, აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, განვითარების სამსახურს, რექტორის აპარატს და ამ ბრძანებით განსაზღვრულ პირებს.

რექტორი



გიგა ზედანია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი



დავით ავრასიძე

## დანართი 1

### 1. სასტიპენდიო ვაუჩერის განაღდებას პირობები

- ა) პირველი კატეგორიის სასტიპენდიო ვაუჩერის მფლობელი ხდება 2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული უმაღლესი ქულების მქონე სტუდენტების პირველი ხუთეული.
- ბ) მეორე კატეგორიის სასტიპენდიო ვაუჩერის მფლობელი ხდება 2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული პირველი ხუთეულის მომდევნო ათი უმაღლესი ქულების მქონე სტუდენტები.
- გ) თუ სტუდენტი დამატებით ილიაუნის მომავალი ფიზიკოსის ოლიმპიადაზე მიიღებს პირველი კატეგორიის 1200-ლარიანი ვაუჩერს და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებით მოხვდება ფიზიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ აბიტურიენტთა პირველ ხუთეულში, მაშინ იგი დაჯილდოვდება 1200-ლარიანი სასტიპენდიო ვაუჩერით;
- დ) თუ სტუდენტი დამატებით ილიაუნის მომავალი ფიზიკოსის ოლიმპიადაზე მიიღებს მეორე კატეგორიის 600-ლარიან ვაუჩერს და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებით მოხვდება ილიაუნის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ აბიტურიენტთა პირველ ხუთეულში, მაშინ დაჯილდოვდება 1200-ლარიანი სასტიპენდიო ვაუჩერით;
- ე) თუ სტუდენტი დამატებით ილიაუნის მომავალი ფიზიკოსის ოლიმპიადაზე მიიღებს პირველი კატეგორიის 1200-ლარიან ვაუჩერს და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებით ვერ მოხვდება ილიაუნის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ აბიტურიენტთა პირველ ხუთეულში, მაგრამ იქნება მომდევნო 10 სტუდენტს შორის, მაშინ დაჯილდოვდება 1200-ლარიანი სასტიპენდიო ვაუჩერით.

დანართი 2

### რეგისტრაცია

დრო: 09:30-10:30, 29 მარტი, მისამართი ქ. ჩოლოყაშვილის 3/5, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის E 206 აუდიტორია;  
რეგისტრაციისთვის სავალდებულოა მონაწილეებმა თან იქონიონ პირადობის მოწმობა.

### პირველი შესარჩევი ტური

ჩატარების დრო: 10:30 საათი, 29 მარტი

ხანგრძლივობა: 1 საათი

ფორმატი: ტესტი, რომელიც შედგება 20 კითხვისგან. თითოეული კითხვა მოიცავს 4 სავარაუდო პასუხს.

შეფასების სისტემა და ჯილდო: მონაწილეები, რომლებიც სწორად უპასუხებენ 20 კითხვიდან 10 კითხვას, მოიპოვებენ მეორე კატეგორიის სასტიპენდიო ვაუჩერს და მონაწილეობის უფლებას მეორე ტურში.

ოლიმპიადის ჩატარების ადგილი: ქ. ჩოლოყაშვილის 3/5, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის E 206 აუდიტორია;

### მეორე დასკვნითი ტური

ჩატარების დრო: 14:00 საათი, 29 მარტი

ხანგრძლივობა: 2 საათი

ფორმატი: ტესტები და ღია ამოცანები

ტური შედგება 15-კითხვიანი ტესტისგან და 15 ღია ამოცანისგან. ტესტის თითოეული კითხვა მოიცავს 4 სავარაუდო პასუხს; ღია ამოცანები მონაწილეებმა უნდა ამოხსნან მოკლედ და გასაგებად.

ოლიმპიადის ჩატარების ადგილი: ქ. ჩოლოყაშვილის 3/5, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის E 206 აუდიტორია;

### დანართი 3

ტესტის სწორი პასუხი 1 ქულა  
ამოცანის მაქსიმალური შეფასება - 4 ქულა

კრიტერიუმები:

- 4 ქულა - ამოცანა სრულად არის ამოხსნილი და შედეგები ნათლად არის წარმოდგენილი ნაშრომში;
- 3 ქულა - ამოცანა ამოხსნილია და დაშვებულია მცირე უზუსტობები;
- 2 ქულა - ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, შედეგები არასრულადაა წარმოდგენილი;
- 1 ქულა - ამოცანა გააზრებულია და დაწყებულია მისი ამოხსნა;
- 0 ქულა - ამოცანა არ არის გააზრებული და/ან ამოცანასთან დაკავშირებული ნაშრომი არ არის წარმოდგენილი.